ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7380768

ნომერი: AR11077787

თარიღი : 13.02.2025

გაცემის თარიღი : 17.02.2025

გაცნობის თარიღი : 17.02.2025

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დიღმის მასივი, III კვარტალი, კორპუსი 1გ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნანუკა სარალიძე პ/ნ 54001040170
- თბილისი დიღმის მასივი III კვ. კორ. 1გ ბ. 8

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი დანადგარი
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

აკრძალურია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მიწის ნაკვეთის შემოღობვა ან/და მიწის ნაკვეთის შესასვლელთან ბარიერების მოწყობა (გარდა სახანძრო უსაფრთხოების მოქმედი ტექნიკური რეგლამენტით დაშვებულისა). აქედან გამომდინარე, მიწის ნაკვეთის შემოღობვა ან/და მიწის ნაკვეთის შესასვლელთან ბარიერების მოწყობის შემთხვევაში, საჭიროა განმცხადებელმა წარმოადგინოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შესაბამისი წერილი, რომელშიც მითითებული იქნება განსახორციელებელი სამშენებლო/სამონტაჟო სამუშაოების სახანძრო უსაფრთხოების მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებთან დასაშვებობის/შესაბამისობის თაობაზე. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე წარმოდგენილ უნდა იქნეს წერილზე თანდართული დანართები.

- ვინაიდან ობიექტი მშენებარეა, წარმოდგენილ იქნეს მიწის ნაკვეთის მესაკუთრის (დამკვეთის) სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.